# საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 07

2020 წ. "24" 02

ქ.თბილისი

**სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ეპიდემიოლოგიისა და გარემოს მედიცინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ**

**1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ თუ აკრედიტაციის დებულების $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

თავმჯდომარე

მდივანი

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 09 აგვისტოს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №1033803 (ცენტრში რეგისტრაციის №1034267) სააკრედიტაციო განაცხადი „ეპიდემიოლოგიისა და გარემოს მედიცინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 06 სექტემბრის №797 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 06 დეკემბრის №1181 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 10 დეკემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 21 იანვარს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✓ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

თავმჯდომარე

მდივანი

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 24 თებერვალს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

2.5. საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შემდეგი რეკომენდაციები:

ა) პროგრამის მიზანში აისახოს საერთაშორისო ასპარეზზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებაზე ორიენტაცია, ისევე როგორც არის გაცხადებული უნივერსიტეტის მისიით;

ბ) მოიძიეთ დეტალური სფეროების შესაბამისი სამაგისტრო პროგრამები, გაანალიზეთ და გაიზიარეთ არსებული საუკეთესო პრაქტიკა და განვითარების ტენდენციები;

გ) გაუმჯობესდეს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება (განსაკუთრებით პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში), ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება;

დ) გადამუშავდეს პრაქტიკის სილაბუსი (გარემოს მედიცინა) შეფასების ნაწილთან მიმართებით;

ე) პროგრამის ბიუჯეტი გაიწეროს უფრო დეტალურად, რათა მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული და დაგეგმილი აქტივობების დოკუმენტურად იდენტიფიცირება.

2.6. მხედველობაში იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ეპიდემიოლოგიისა და გარემოს მედიცინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 2020 წლის 30 სექტემბრამდე შესაბამისობაშია მოსაყვანი „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებასთან.

**3. სარეზოლუციო ნაწილი**

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

**გადაწყვიტა:**

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 2019 წლის 09 აგვისტოს №1033803 (ცენტრში რეგისტრაციის №1034267) სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ეპიდემიოლოგიისა და გარემოს მედიცინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 24 თებერვლის №02 სხდომის ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

**თავმჯდომარე**

**მდივანი**

4. საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) პროგრამის მიზანში აისახოს საერთაშორისო ასპარეზზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებაზე ორიენტაცია, ისევე როგორც არის გაცხადებული უნივერსიტეტის მისიით;

ბ) მოიძიეთ დეტალური სფეროების შესაბამისი სამაგისტრო პროგრამები, გაანალიზეთ და გაიზიარეთ არსებული საუკეთესო პრაქტიკა და განვითარების ტენდენციები;

გ) გაუმჯობესდეს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება (განსაკუთრებით პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში), ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება;

დ) გადამუშავდეს პრაქტიკის სილაბუსი (გარემოს მედიცინა) შეფასების ნაწილთან მიმართებით;

ე) პროგრამის ბიუჯეტი გაიწეროს უფრო დეტალურად, რათა მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული და დაგეგმილი აქტივობების დოკუმენტურად იდენტიფიცირება.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს - 2020 წლის 02 მარტი.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

| | |
|---|---|
| საბჭოს თავმჯდომარე | ირაკლი ბურდული |
| საბჭოს მდივანი | ნიკოლოზ კიკნაძე |

*დანართი №1*

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1] | ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[2] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2011 წლის 21 ოქტომბერი, №130 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3] | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[4] | მაგისტრატურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე[5] | მეშვიდე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ეპიდემიოლოგიის მაგისტრი/გარემოს მედიცინის მაგისტრი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6] | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | - |
| 12 | კვალიფიკაციის კოდი[7] | 090402;<br>090401 |
| 13 | სწავლების ენა | ქართული |
| 14 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 15 | განხორციელების ადგილი[8] | საქართველო 0186(0177), ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №33 |
| 16 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |
| 17 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 2020 წლის 02 მარტი |
| 18 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის | - |

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

**თავმჯდომარე**

**მდივანი**

| | | |
|---|---|---|
| | წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9] | |
| 19 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 2027 წლის 02 მარტი |

[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

**თავმჯდომარე**

**მდივანი**